

შპს „გრანდ ელექტრონიქსი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

<i>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>2</i>
<i>სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>3</i>
<i>ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>4</i>
<i>კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>5</i>
<i>სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....</i>	<i>6</i>

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გრანდ ელექტრონიქსი“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გრანდ ელექტრონიქსი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი ზრით, ჩვენი დასკვნის-„პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „გრანდ ელექტრონიქსი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის მოცულობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით მიგვეღო მტკიცებულებები სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო პირობითი იყო მოსაზრება წინა წელსაც. ამ გარემოებების გამო, ჩვენ ვერ შევძელით გაგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების განხორციელება სასაქონლო-მატერიალური მარაგებთან, და ასევე, სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობითი ანგარიშის საქმიანობის მიმოხილვის ნაწილს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას), რომელიც მივიღეთ აუდიტის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაზე, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ავღნიშნავთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად

საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი

ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარს. განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვაძლევს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, კომპანიის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ექვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაჭონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და


მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის გიორგი გაბათაშვილი

გიორგი გაბათაშვილი SARAS-A-923705

შპს „ლიდ აუდიტი“-ს სახელით

15 ოქტომბერი 2025 წელი



შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	7	387,994	709,790
გადახდილი ავანსები	8	240,883	216,657
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	5,015,630	3,889,759
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	439,615	296,235
წინასწარ გადახდილი გადასახადები	11	16,683	11,530
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>6,100,805</u>	<u>5,123,972</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	874,075	956,661
არამატერიალური აქტივები	13	16,979	17,949
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>891,053</u>	<u>974,610</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>6,991,858</u>	<u>6,098,582</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	4,525,562	4,987,955
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	15	140,555	97,219
მიღებული ავანსები	16	302,119	514,035
მოკლევადიანი სესხები	17	348,012	290,504
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>5,316,248</u>	<u>5,889,713</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	2,162,000	980,463
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>2,162,000</u>	<u>980,463</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	200	200
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	18	(486,589)	(771,794)
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>(486,389)</u>	<u>(771,594)</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>6,991,858</u>	<u>6,098,582</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი:

შპს "გრანდ ელექტრონიკსი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	7	387,994	709,790
გადახდილი ავანსები	8	240,883	216,657
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	5,015,630	3,889,759
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	439,615	296,235
წინასწარ გადახდილი გადასახადები	11	16,683	11,530
სულ მიმდინარე აქტივები		6,100,805	5,123,972
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	874,075	956,661
არამატერიალური აქტივები	13	16,979	17,949
სულ გრძელვადიანი აქტივები		891,053	974,610
სულ აქტივები		6,991,858	6,098,582
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	4,525,562	4,987,955
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	15	140,555	97,219
მიღებული ავანსები	16	302,119	514,035
მოკლევადიანი სესხები	17	348,012	290,504
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,316,248	5,889,713
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	2,162,000	980,463
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,162,000	980,463
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	200	200
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	18	(486,589)	(771,794)
სულ საკუთარი კაპიტალი		(486,389)	(771,594)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,991,858	6,098,582

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.



შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2024</u> <u>წელი</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u> <u>წელი</u>
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	19	26,184,478	24,112,766
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	19	54,434	53,618
სხვა საოპერაციო შემოსავლები	19	946,793	337,082
<u>სულ საოპერაციო შემოსავლები</u>		<u>27,185,705</u>	<u>24,503,466</u>
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	20	(20,954,318)	(20,101,339)
პერსონალის დანახარჯი	21	(2,436,901)	(2,291,428)
სარეკლამო და მიწოდების სხვა ხარჯი	22	(489,625)	(325,546)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი		(128,254)	(164,131)
იჯარის ხარჯი	23	(1,789,755)	(1,696,629)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	24	(141,036)	(139,192)
სხვა საგადასახადო ხარჯები		(10,263)	(9,701)
ცვეთა და ამორტიზაცია		(125,349)	(122,533)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	25	(628,993)	(488,298)
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>		<u>(26,704,494)</u>	<u>(25,338,797)</u>
<u>მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან</u>		<u>481,212</u>	<u>(835,332)</u>
წმინდა შემოსავალი/დანაკარგი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(16,948)	(439)
საპროცენტო შემოსავალი		-	132
ფინანსური დანახარჯები	17	(179,429)	(136,302)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან		(2,955)	(2,261)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	3,324	14,727
		<u>(196,006)</u>	<u>(124,142)</u>
<u>მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე</u>		<u>285,205</u>	<u>(959,474)</u>
მოგების გადასახადი		-	(13,745)
<u>მოგება დაბეგვრის შემდეგ</u>		<u>285,205</u>	<u>(973,219)</u>
სხვა სრული შემოსავალი			
<u>მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</u>		<u>285,205</u>	<u>(973,219)</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი:

შპს "გრანდ ელექტრონიკსი"
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	19	26,184,478	24,112,766
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	19	54,434	53,618
სხვა საოპერაციო შემოსავლები	19	946,793	337,082
სულ საოპერაციო შემოსავლები		27,185,705	24,503,466
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20	(20,954,318)	(20,101,339)
პერსონალის დანახარჯი	21	(2,436,901)	(2,291,428)
სარეკლამო და მიწოდების სხვა ხარჯი	22	(489,625)	(325,546)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი		(128,254)	(164,131)
იჯარის ხარჯი	23	(1,789,755)	(1,696,629)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	24	(141,036)	(139,192)
სხვა საგადასახადო ხარჯები		(10,263)	(9,701)
ცვეთა და ამორტიზაცია		(125,349)	(122,533)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	25	(628,993)	(488,298)
სულ საოპერაციო ხარჯები		(26,704,494)	(25,338,797)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		481,212	(835,332)
წმინდა შემოსავალი/დანაკარგი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(16,948)	(439)
საპროცენტო შემოსავალი		-	132
ფინანსური დანახარჯები	17	(179,429)	(136,302)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან		(2,955)	(2,261)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	3,324	14,727
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		(196,006)	(124,142)
მოგების გადასახადი		285,205	(959,474)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		-	(13,745)
სხვა სრული შემოსავალი		285,205	(973,219)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		285,205	(973,219)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი



შპს “გრანდ ელექტრონიქსი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2024	31/12/2023
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	31,289,935	28,500,312
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29,577,049)	(25,764,016)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,811,004)	(1,731,452)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,024,938)	(961,484)
ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებული გადასახადები	48,478	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	67	66
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(264,538)	(206,146)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>(1,339,050)</u>	<u>(162,719)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37,486)	(216,367)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,923)	(3,004)
გაცემული სესხების დაბრუნება	-	14,000
მიღებული პროცენტები	-	3,392
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(39,409)</u>	<u>(201,978)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	1,850,000	1,812,000
სესხების დაფარვა	(740,692)	(1,003,916)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(49,692)	(66,115)
გადახდილი დივიდენდები	-	(68,015)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>1,059,616</u>	<u>673,954</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(2,954)	(3,612)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(321,796)	305,645
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	709,790	404,145
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>387,994</u>	<u>709,790</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი:

შპს "გრანდ ელექტრონიკსი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დაშვებებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	31,289,935	28,500,312
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29,577,049)	(25,764,016)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,811,004)	(1,731,452)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,024,938)	(961,484)
ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებული გადასახადები	48,478	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	67	66
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(264,538)	(206,146)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,339,050)	(162,719)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37,486)	(216,367)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,923)	(3,004)
გაცემული სესხების დაბრუნება	-	14,000
მიღებული პროცენტები	-	3,392
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(39,409)	(201,978)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	1,850,000	1,812,000
სესხების დაფარვა	(740,692)	(1,003,916)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(49,692)	(66,115)
გადახდილი დივიდენდები	-	(68,015)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1,059,616	673,954
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(2,954)	(3,612)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(321,796)	305,645
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	709,790	404,145
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	387,994	709,790

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი:



შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	279,146	279,346
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	(973,219)	(973,219)
განაწილებული დივიდენდი	-	(77,721)	(77,721)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(771,794)	(771,594)
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	285,205	285,205
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(486,589)	(486,389)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი:

შპს "გრანდ ელექტრონიკსი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	279,146	279,346
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	(973,219)	(973,219)
განაწილებული დივიდენდი	-	(77,721)	(77,721)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(771,794)	(771,594)
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	285,205	285,205
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(486,589)	(486,389)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გრანდ ელექტრონიკსი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 202362530, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2006 წლის 21 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზ. N71.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ გენერალური დირექტორი და 100% წილის მფლობელი იყო ოვანეს ნაზარიანი (პ/ნ 01007003952), დირექტორი - ნიკოლოზ ჩილუნაძე (პ/ნ 01524095210). 2025 წლის სექტემბერში შევიდა ცვლილება სადამფუძნებლო სიაში. 25%-იანი წილის მფლობელი არის ოვანეს ნაზარიანი, 25%-იანი წილის მფლობელი არის რობერტ მაშავეი (პ/ნ 20001015568); 25%-იანი წილის მფლობელი არის აბილახ მურადოვი (პ/ნ 12001022199) და 25%-იანი წილის მფლობელი არის თეიმურაზ შუკაკიძე (პ/ნ 35001013592).

მფლობელები	ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, %	2024 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2023 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %
ოვანეს ნაზარიანი	25%	100%	100%
რობერტ მაშავეი	25%		
აბილახ მურადოვი	25%		
თეიმურაზ შუკაკიძე	25%		
	100%	100%	100%

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2025 წლის 15 ოქტომბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ კომპანია შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა კომპანიის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

2024 წელს კომპანიამ მიიღო მოგება 285,205 ლარი. ასევე 2024 წელს კომპანიის მიმდინარე აქტივებმა გადააჭარბა მიმდინარე ვალდებულებებს 784,557 ლარით. ასევე კომპანიას აქვს წვდომა ფინანსურ რესურსებზე საჭიროების შემთხვევაში და ასევე ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს.

აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია.

4. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

a) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია

აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

კომპანიას მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი /1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

b) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს

და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

„კომპანიის“ მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
მანქანა-დანადგარები	10

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივების გამოყენების ვადა არის 10 წელი.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„კომპანია“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

d) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

e) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული

ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. „კომპანია“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრები და მისი ექვივალენტები.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ

აქტივებში, რომელიც „კომპანია“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „კომპანია“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. „კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

f) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

გ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლი ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

h) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

i) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა

ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი.

j) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. „კომპანიის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

k) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

l) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

m) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

6. წინა პერიოდის შეცდომები, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები და რეკლასიფიკაციები.

კომპანიამ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანა ცვლილებები და მიაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებები უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

2023 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები მუხლების მიხედვით შემდეგია:

	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაციის/კორექტირების ეფექტი	გადაანგარიშებული
31.12.2023			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	959,440	(668,936)	290,504
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	288,463	692,000	980,463
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	(748,730)	(23,064)	(771,794)
	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაციის/კორექტირების ეფექტი	გადაანგარიშებული
2023			
ფინანსური დანახარჯები	(113,238)	(23,064)	(136,302)

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 7

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	31/12/2024	31/12/2023
ნაღდი ფული სალაროში	16,307	29,263
ფული საბანკო ანგარიშებზე	371,686	680,527
სულ	387,994	709,790

შენიშვნა 8

გადახდილი ავანსები	31/12/2024	31/12/2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	240,883	216,657
სულ:	240,883	216,657

შენიშვნა 9

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31/12/2024	31/12/2023
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4,980,535	3,840,838
სხვადასხვა მარაგები	35,096	48,922
სულ	5,015,630	3,889,759

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31/12/2024	31/12/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	463,939	313,806
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(29,032)	(22,629)
სხვა მოკლ მოთხოვნები	4,708	5,058
სულ:	439,615	296,235

ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(22,629)	(31,238)
რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	(6,403)	8,610
ნაშთი წლის ბოლოს	(29,032)	(22,629)

შენიშვნა 11

გადასახადები	31/12/2024	31/12/2023
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16,683	11,530
სულ:	16,683	11,530

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 12 ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	393,174	20,481	171,399	498,705	1,083,759
შემოსვლა 2023 წელს	221,913	-	3,700	10,866	236,479
გასვლა 2023 წელს	(33,960)	-	-	-	(33,960)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	581,127	20,481	175,099	509,571	1,286,278
შემოსვლა 2024 წელს	27,755	-	35,071	6,120	68,946
გასვლა 2024 წელს	(3,947)	-	(35,137)	-	(39,084)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	604,934	20,481	175,033	515,691	1,316,139
ცვეთა გაუფასურება					
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(113,612)	(154)	(39,571)	(66,192)	(219,529)
დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	(54,387)	(1,848)	(12,989)	(50,511)	(119,736)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	9,648	-	-	-	9,648
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(158,351)	(2,002)	(52,560)	(116,704)	(329,617)
დარიცხვა 2024 წლის განმავლობაში	(58,750)	(1,848)	(13,849)	(50,919)	(125,366)
გასვლა 2024 წლის განმავლობაში	1,464	-	11,454	-	12,919
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(215,637)	(3,850)	(54,954)	(167,623)	(442,064)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022 წელი	279,562	20,327	131,829	432,513	864,230
31 დეკემბერი 2023 წელი	422,776	18,478	122,539	392,867	956,661
31 დეკემბერი 2024 წელი	389,297	16,630	120,079	348,068	874,075

მომსახურების წლები ჯგუფების მიხედვით არის
შემდეგი:

- იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 5-10 წელი
- მანქანა-დანადგარები 10 წელი
- ოფისის აღჭურვილობა 2 - 10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 წელი

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 13 არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	პროგრამა	ჯამი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,183	26,183
შემოსვლა	3,004	3,004
გასვლა		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,187	29,187
შემოსვლა	1,923	1,923
გასვლა		-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,110	31,110
ამორტიზაცია გაუფასურება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(8,635)	(8,635)
დარიცხვა	(2,602)	(2,602)
გასვლა		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(11,238)	(11,238)
დარიცხვა	(2,894)	(2,894)
გასვლა		-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(14,131)	(14,131)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022 წელი	17,548	17,548
31 დეკემბერი 2023 წელი	17,949	17,949
31 დეკემბერი 2024 წელი	16,979	16,979

არამატერიალური აქტივების წლები
 ჯგუფების მიხედვით არის შემდეგი:
 - პროგრამა 10 წელი

შენიშვნა 14

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	4,519,948	4,982,171
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,614	5,784
სულ:	4,525,562	4,987,955

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 15

შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი ხელფასები	140,555	97,219
სულ	140,555	97,219

შენიშვნა 16

მიღებული ავანსები	31/12/2024	31/12/2023
მიღებული ავანსები	302,119	514,035
სულ	302,119	514,035

შენიშვნა 17

სასესიო ვალდებულებები	31/12/2024	31/12/2023
მოკლევადიანი სესხი	348,012	290,504
გრძელვადიანი სესხი	2,162,000	980,463
სულ:	2,510,012	1,270,967

				31/12/2024	31/12/2023
	ვალუ ტა	საპროცენ ტო განაკვეთი	დაფარვ ის თარიღი	საბალანსო დირებულ ება	საბალანსო დირებულ ება
უზრუნველყოფილი სესხები			06/02/20		
ბანკისგან	GEL	17.00%	25	14,511	93,502
უზრუნველყოფილი სესხები			15/07/20		
ბანკისგან	GEL	13.50%	25	183,608	465,309
			21/09/20		
სხვა სესხი	GEL	11.50%	26	2,311,893	712,157
სულ:				2,510,012	1,270,967

	31/12/2024	31/12/2023
1 იანვარი 2024	1,270,967	394,571
სესხის მიღება	1,850,000	1,859,386
გადახდები წლის განმავლობაში	(740,692)	(1,006,053)
საპროცენტო ვალდებულებების დაფარვა	(49,692)	(113,238)
პროცენტის დარიცხვა	179,429	136,302
31 დეკემბერი 2024	2,510,012	1,270,967

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 18
კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 200 ლარი, დაგროვილი ზარალი (486,589) ლარი. ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 200 ლარი, დაგროვილი ზარალი (771,794) ლარი. 2024 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი. 2023 წელს კომპანიამ დივიდენდები გამოაცხადა და გაანაწილა 77,721 ლარი.

2014 წლიდან 2025 წლის სექტემბრამდე კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი იყო ოვანეს ნაზარიანი. ხოლო 2025 წლის სექტემბერში განხორციელებული ცვლილების შედეგად წილები ასე გადანაწილდა:

ოვანეს ნაზარიანი	25%
რობერტ მაშავეი	25%
აბილახ მურადოვი	25%
თეიმურაზ შუკაკიძე	25%

შენიშვნა 19

შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	26,184,478	24,112,766
შემოსავალი სამონტაჟო მომსახურებიდან	54,434	53,618
მარკეტინგული და სხვა საოპერაციო შემოსავალი	946,793	337,082
სულ	27,185,705	24,503,466

შენიშვნა 20

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31/12/2024	31/12/2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(20,954,318)	(20,101,339)
სულ	(20,954,318)	(20,101,339)

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 21

პერსონალის დანახარჯი	31/12/2024	31/12/2023
შრომის ანაზღაურება	(2,436,901)	(2,291,428)
სულ	(2,436,901)	(2,291,428)

შენიშვნა 22

სარეკლამო და მიწოდების სხვა ხარჯი	31/12/2024	31/12/2023
რეკლამის მომსახურების ხარჯი	(247,959)	(163,623)
მიწოდების სხვა ხარჯი	(41,020)	(14,314)
საგარანტიო მომსახურება	-	(2,681)
განვადებით შეძენის საკომისიო	(200,645)	(144,928)
სულ	(489,625)	(325,546)

შენიშვნა 23

იჯარის ხარჯი	31/12/2024	31/12/2023
საიჯარო ქირა	(1,789,755)	(1,696,629)
სულ	(1,789,755)	(1,696,629)

შენიშვნა 24

ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	31/12/2024	31/12/2023
საწვავის ხარჯი	(58,474)	(79,570)
ავტო მანქანის ხარჯი	(82,562)	(59,622)
სულ	(141,036)	(139,192)

შენიშვნა 25

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	31/12/2024	31/12/2023
საპენსიო ხარჯი	(48,031)	(45,805)
საღარიბ აპარატის მომსახურება	(1,099)	(989)
მივლინების ხარჯი	(9,489)	(9,406)
თანამშრომლის სარგებელი	(53,024)	(46,303)
დაცვის ხარჯი	(12,417)	(13,010)
ტრენინგები	-	(352)

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

მ/ფასიანი ხარჯი	(13,436)	(5,905)
საიტის მომსახურების ხარჯი	(53,945)	(22,971)
გატეხილი ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(1,278)	(4,157)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(9,728)	(6,117)
სატრანსპორტო ხარჯი	(2,104)	(5,019)
დაზღვევის ხარჯი	(19,246)	(21,246)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(8,256)	(10,603)
საკანცელარიო ხარჯი	(5,234)	(3,657)
კომპიუტერის ხარჯი	(2,670)	(2,695)
რემონტის ხარჯი	(5,929)	(3,021)
სხვა და სხვა მოსაკრებელი	(3,797)	(5,110)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(36,000)	-
ტერმინალით მომსახურების საკომისიო	(266,766)	(209,350)
ბანკის საგარანტიო მომსახურება	(13,326)	(15,132)
სამეურნეო ხარჯი	(52,641)	(48,952)
სხვა ხარჯი	(10,577)	(8,499)
სულ	(628,993)	(488,298)

შენიშვნა 26

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	31/12/2024	31/12/2023
ანარიცხების აღდგენა	3,324	
ავტომატური ზარალის ანაზღაურება		14,727
სულ	3,324	14,727

27. რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანია შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) *რისკის მართვის სისტემა*

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

(ii) *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშვება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და კონტროლების დასადგენად, ასევე რისკის და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გათვალისწინებით.

(iii) *ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

კომპანიას არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელებისგან.

(iv) *საბაზრო რისკი*

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლატაულობის სამართავად.

(v) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

28. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

29. დაკავშირებული მხარეები

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

2024 წელი

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
გაცემული დივიდენდი			
რელიზაცია		35,238	12,267
მიღებული საქონელი და მომსახურება			131,854
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები		6,845	362
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები			39,160
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		27,930	
პერსონალის დანახარჯი	119,254	156,854	

შპს “გრანდ ელექტრონიკსი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

2023 წელი

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
გაცემული დივიდენდი	77,721		
მიღებული საქონელი და მომსახურება			159,723
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები			30,019
პერსონალის დანახარჯი	131,511	90,177	

30. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2025 წლის სექტემბერში შევიდა ცვლილება სადამფუძნებლო სიაში. 25%-იანი წილის მფლობელი არის ოვანეს ნაზარიანი, 25%-იანი წილის მფლობელი არის რობერტ მაშაევი (პ/ნ 20001015568); 25%-იანი წილის მფლობელი არის აბილახ მურადოვი (პ/ნ 12001022199) და 25%-იანი წილის მფლობელი არის თეიმურაზ შუკაკიძე (პ/ნ 35001013592).

2025 წელს კომპანიამ დაფარა სესხი 699,358.62 ლარის ოდენობით.

დირექტორი:

შპს "გრანდ ელექტრონიკსი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

2023 წელი

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
გაცემული დივიდენდი	77,721		
მიღებული საქონელი და მომსახურება			159,723
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები			30,019
პერსონალის დანახარჯი	131,511	90,177	

30. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2025 წლის სექტემბერში შევიდა ცვლილება სადამფუძნებლო სიაში. 25%-იანი წილის
 მფლობელი არის ოვანეს ნაზარიანი, 25%-იანი წილის მფლობელი არის რობერტ მაშავეი (პ/ნ
 20001015568); 25%-იანი წილის მფლობელი არის აბილაზ მურადოვი (პ/ნ 12001022199) და
 25%-იანი წილის მფლობელი არის თეიმურაზ შუკაკიძე (პ/ნ 35001013592).

2025 წელს კომპანიამ დაფარა სესხი 699,358.62 ლარის ოდენობით.



შპს „გრანდ ელექტრონიქსი“ მმართველობითი ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის:

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარებას და მდგომარეობას, აღწერს ძირითად რისკებს და გზებს როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა იქონიოს სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე, წარმოგიდგენს სუბიექტის წარსული საქმიანობის ანალიზს;

ასახავს ინფორმაციას სუბიექტის ხელმძღვანელი პირების სტრუქტურას და მის შესაბამისობას სუბიექტის მიზნების განხორციელებისთვის.

წარმოადგენს ინფორმაციას სუბიექტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, აღწერს დასაქმებასთან ადამიანის უფლებებს, პატივისცემას და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებს.

ანგარიში წარმოგიდგენს საწარმოს საქმიანობის მიმდინარე და სამომავლო გეგმების ინფორმაციას;

აგრეთვე ანალიტიკურ ინფორმაციას იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს საქმიანობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „გრანდ ელექტრონიქსი“-ის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გაეზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია გვექონდეს ბაზარზე მყარი პოზიციები, პროდუქციის მრავალფეროვნება, ხელმისაწვდომი ფასი და რა თქმა უნდა მომხმარებელთა ნდობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

კომპანიის შესახებ

შპს „გრანდ ელექტრონიქსი“ შეიქმნა 2006 წელს ფიზიკური პირის მიერ . მას შემდეგ, წარმატებით ოპერირებს საქართველოს ბაზარზე. ახდენს საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციას. კომპანიას თბილისის მასშტაბით აქვს 6 მაღაზია და 1 რუსთავეში. ასევე გაყიდვებს ახორციელებს ონლაინ საიტის მეშვეობით. არსებობის ამ ხნის მანძილზე შეძლო ქართულ ბაზარზე თავის დამკვიდრება, როგორც სანდო და მომხმარებლის მოთხოვნაზე მაქსიმალურად მორგებულმა კომპანიამ. კომპანია

ორიენტირებულია პროდუქციის ხარისხსა და სერვისის სისწრაფეზე, რაც მთავარი ფაქტორია მომხმარებელთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის.

მდებარეობს და მისი იურ/ფაქტ მისამართია: თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზ. N71.

სამომავლო გეგმები

ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ რეპუტაცია, როგორც სანდო მაღაზიათა ქსელმა, ჩვენი მომხმარებლები იყვნენ მუდამ კმაყოფილები და ნებისმიერი გაურკვევლობის შემთხვევაში სწრაფად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქმიანობის გაფართოება, და ჩვენს მაღაზიებში არსებული პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდა. ჩვენ მთელს ძალისხმევას ჩავდებთ, რომ ვიყოთ ინოვატორები საქართველოს ბაზარზე.

მართვა

კომპანიას მართავს გენერალური დირექტორი ოვანეს ნაზარიანი მას აქვს ამ სექტორში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე კომპანიას ყავს მეორე დირექტორი ნიკოლოზ ჩილუნაძე, ის სრულად არის ჩართული საოპერაციო საკითხებში.

კომპანიის სტრუქტურა შედგება ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება გენერალურ დირექტორს.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულადაა განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, რომლის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

ჩვენი გუნდი

ჩვენს კომპანიაში დასაქმებული მაღალკვალიფიციური თანამშრომლები უზრუნველყოფენ კომპანიაში საოპერაციო ნაწილის სწორად წარმართვას. დეტალებზე ორიენტირებულობა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. უშუალოდ მაღაზიაში დასაქმებული პერსონალი კარგად ფლობს პროდუქციაზე ინფორმაციას, ამიტომ როდესაც მომხმარებელი მოდის ობიექტზე მაქსიმალურად ვეხმარებით მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში მათვე საჭიროებებიდან გამომდინარე.

უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემით.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე კომპანიის მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტის აზრით ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა.

ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ასევე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ბიზნესის მოგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ. კომპანია სარგებლობს საბანკო სესხებით, რომელთა ნაწილიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში. კურსის ცვლილება ბუნებრივია გაზრდის საპროცენტო ხარჯს, რაც უარყოფითად აისახება წმინდა მოგების ციფრზე.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროგნოზს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია დანერგოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის დასაწესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

კომპანია ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას, მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შეძენიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიას ძირითადი ფინანსური

ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური

ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიას ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას

სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები,

სავაჭრო მოთხოვნები, გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ექვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).



კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსური მაჩვენებლები





ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი:

დირექტორი

თარიღი 15.10.2025

მილიანი სრული შეძოსავალი



• 2024 • 2023

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები
მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი;

დირექტორი

თარიღი 15.10.2025

